

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	86045	166042	832
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1396000	1352747	872208
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	943062	32105	0
მარაგები	34199	127126	110062
მზა პროდუქცია	0	279	52273
სხვა	34199	126847	57789
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	263112	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2722418	1678020	983102
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	0	0	0
ანარიცხები	77	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	699483	1000	1000
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	189531	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	91297	124955
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	699560	281828	125955
საკუთარი კაპიტალი			

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2022858	1396192	857147
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2022858	1396192	857147
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2722418	1678020	983102
სულ მოკლევადიანი აქტივები	2518851	1678020	983102
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	699560	190531	1000

დირექტორი

ბუღალტერი



პ. შაქარიშვილი

ვ. მდინარაძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	20689035	19957929
საქონლის გაყიდვიდან	20689035	19957929
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-19930285	-19326338
საწყისი მარაგები	0	52273
მარაგების შესყიდვა	0	19306114
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	758750	631591
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-32694	-10250
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-13848	0
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-4920	-19751
იჯარის ხარჯი	-2000	-3000
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-78622	-59545
სულ საოპერაციო ხარჯები	-132084	-92546
საოპერაციო მოგება	626666	539045
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	626666	539045
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	626666	539045
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	626666	539045
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1396192	857147

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2022858	1396192

დირექტორი

ბუღალტერი

3. 28
3. 28

კ. შაქარიშვილი

ვ. მდინარაძე




ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2020	31/12/2019
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო . საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	180235	152305
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-260232	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	12905
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-79997	165210
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	166042	832
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	86045	166042

დირექტორი

ბუღალტერი

Handwritten signatures in blue ink.



კ. შაქარიშვილი

ვ. მდინარაძე

შპს ფორ დირექტს ჯორჯია

წარმოდგენილი 2020 წლის ფინანსური ანგარიშის განმარტებითი შენიშვნები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს ფორ დირექტს ჯორჯიას ფინანსურ ინფორმაციას.

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ფორ დირექტს ჯორჯიამ რეგისტრაცია გაიარა 2014 წლის 8 იანვარს და მიენიჭა საზოგადოების იურიდიული მისამართია ქ. რუსთავი, კოსტავას გამზ. კორპ.#13 ბინა #4.

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალებით საბითუმო ვაჭრობა.

საზოგადოების ხელმძღვანელობას ანხორციელებს დირექტორი კახაბერ შაქარიშვილი რომელიც ამასთანვე არის მისი 100%-იანი წილის მფლობელი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფაას-ის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

ანგარიშის მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. საზოგადოების ფინანსური წლის დასაწყისი არის 1 იანვარი, ხოლო დასრულების 31 დეკემბერი.

ანგარიში მომზადებულია ფუნქციონერებადი საწარმოოს პრინციპით ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მფობელს და დირექტორს სურვილი აქვს განავითაროს თავისი საქმიანობა საქართველოში. კომპანია მე-2 წელია წარადგენს ფინანსური ანგარიშის, ამდენადა არის შესადარისი ინფორმაცია

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული შეფასების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები.

ფული და ფულის ექვივალენტები

საზოგადოების ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება მსს ფაას 30-ის „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში“ მოთხოვნის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულად აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისათვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისათვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები ასახულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. სარგებელი ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნა ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში გადაყვანით აღიარებულია სრული სემოსავლების ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი კურსი იყო:

ვალუტის დასახელება	2020 წ. 31.12	2019 წ. 31.12
აშშ დოლარი/ლარი	3,2766	2.8677

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან, რომელიც საზოგადოებამ გაცემული საქონლის მიწოდების შედეგად აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღირიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნად.

მარაგები

მარაგების აღრიცხვა ხდება უწყვეტი მეთოდით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენაზე, განბაჟებაზე და ადგილზე მიტანაზე გაწეულ ხარჯებს. საზოგადოების საქმიანობიდან გამომდინარე ის შემოტანილი მარაგების რეალიზაცია ახდენს იმავე დღეს და სასქონლო მარაგების ნაშთი არ გააჩნია.

ძირითდი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ,

ძირითადი საშუალების აღრიცხვა ხდება დარიცხული ცვეთის და გაუფასურებული ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

სატრანსპორტო საშუალება - 10%

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდის გადახედვა და აუცილებლობის შემთხვევაში კორექტირება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და ღიარდებ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიმდინარე სავაჭრო, სასესხო და სხვა ვალდებულებებს.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღიარებულ ვალდებულებებს და არ ერიცხება პროცენტი. საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ეროვნული ფულის ერთეულში (ლარი), საანგარიშო თარიღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება რაელური ღირებულებით.

საპროცენტო ხარჯი აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან.

ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასების დარიცხვა და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო საზოგადოებამ დასაქმებულისგან.

საკუთარი კაპიტალი

საზოგადოებას წესდებით საწესდებო კაპიტალი არ განუსაზღვრია. წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშში ასახული კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადს იხდის როგორც მოგების განაწილების შემთხვევაში, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-98-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებშიც.

განახლებული საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით საზოგადოებას 2020 წელს დივიდენდი არ გაუცია და არც საგადასახადო ვალდებულება მოგების გადასახადში არ წარმოშობია.

შემოსავლის აღიარება

მის ფაას 23-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ასახოს კლიენტებისთვის ნაკისრი საქონლის ან მომსახურეობის გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლის და მომსახურეობის სანაცვლოდ.

საზოგადოება შემოსავალს აღირიცხავს დარიცხვის მეთოდით;

საზოგადოების ფინანსურ აღრიცხვაში შემოსავალი აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის შეფსება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობის და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ-ს) გამოკლებით.

ხარჯები

საზოგადოება ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც საზოგადოებას საქონლის მიღებასთან ან მიღებულ მომსახურეობისთვის წარმოექმნება გადახდის ვალდებულება. 2020 წელში გაწეული ხარჯების უდიდესი ნაწილი არის შეძენილი საქონლის და მომსახურეობის ღირებულება, ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯის მუხლი მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა: დასაქმებულების ხელფასი (32694 ლარი), იჯარა (2000 ლარი) ქონების დაზღვევის ხარჯი (3573 ლარი), ცვეთის ხარჯი (13848 ლარი), ავტომანქანების შენახვის ხარჯი (8639 ლარი), საბანკო მომსახურებას ხარჯს (21743 ლარი), საპროცენტო ხარჯი (4929 ლარი), და სხვა.

გაუფასურების რეზერვები

ამ ეტაპისთვის გაუფასურების რეზერვის აღიარების პირობა არ დამდგრა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

საზოგადოება ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებების და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდისთვის. შეფასებების და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილების და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით. მომავალ პერიოდში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისაგან და დაშვებებისაგან.

შპს ფორ დირექტს ჯორჯიას
დირექტორი

კ. შაქარიშვილი

